



დამხმარე მასალები კომუნიკაციისთვის

ეს არის პერსონალისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოს შემოკლებული ვარიანტის მაგალითი, რომელიც გიჩვენებთ, როგორ შეგიძლიათ აუხსნათ SCA თქვენს თანამშრომლებს.

მოცემული მასალები შეიძლება მოთავსდეს მალაზიის სალაროებთან და გამოყენებული იქნას ახალი თანამშრომლების მოსამზადებლად.



მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მონოდებულია „როგორც არის“ და განკუთვნილია მხოლოდ ინფორმაციული მიზნებისთვის; ის არ უნდა იქნას გამოყენებული ოპერაციული, მარკეტინგული, იურიდიული, ტექნიკური, ფინანსური, საგადასახადო ან სხვა საკითხებში რჩევის მისაღებად. თქვენ უნდა გაიაროთ კონსულტაცია თქვენს იურიდიულ მრჩეველთან, რათა განსაზღვროთ, რომელი კანონები და რეგულაციების შეიძლება ვრცელდებოდეს თქვენს სპეციფიკურ გარემოებებზე. ნებისმიერი რეკომენდაციის ან პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული რეალური ხარჯები, დანაზოგები და სარგებელი შეიძლება განსხვავდებოდეს კონკრეტულად თქვენი ბიზნესის საჭიროებების და პროგრამის მოთხოვნების მიხედვით. საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, რეკომენდაციები არ იძლევა მომავალი პერფორმანსის ან შედეგების გარანტიას და ექვემდებარება რისკებს, გაურკვევლობებსა და დაშვებებს, რომელთა პროგნოზირება ან რაოდენობრივი შეფასება რთულია. Visa არ აგებს პასუხს თქვენს მიერ აქ მოცემული ინფორმაციის გამოყენებაზე (მათ შორის, ნებისმიერ შეცდომაზე, გამოცოცხებაზე, უზუსტობაზე ან ნებისმიერი სახის არა დროულობაზე) ან თქვენს მიერ მოცემული ინფორმაციის გამოყენებით გაკეთებულ დაშვებებსა და დასკვნებზე. Visa არ იძლევა არანაირ გარანტიას, პირდაპირს თუ ნაგულისხმევს, და კატეგორიულად უარყოფს გარანტიებს გასაყიდად ვარგისიანობაზე ან კონკრეტული მიზნისთვის შესაბამისობაზე, აგრეთვე ნებისმიერ გარანტიას ნებისმიერი შესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არდარღვევის შესახებ. ადგილობრივი კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში, Visa არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის ან ნებისმიერი შესამე მხარის წინაშე ნებისმიერ ზარალზე არცერთი სამართლებრივი თეორიის მიხედვით, მათ შორის (და არა მხოლოდ) ნებისმიერ განსაკუთრებულ, არაპირდაპირ, შემთხვევით ან სადამსჯელო ზარალზე, არც ბიზნესის მოგების დაკარგვაზე, ბიზნესის შეჩერებაზე, ბიზნესის ინფორმაციის დაკარგვაზე ან სხვა ფინანსურ ზარალზე, თუნდაც ამგვარი ზარალის შესაძლებლობის შესახებ ინფორმირებული იყოს.

როგორც ევოლუციური ეკოსისტემის ახალი მარეგულირებელი ჩარჩო, SCA-ს მოთხოვნები ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას გამოყენების ზოგიერთ შემთხვევაში. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს Visa-ს მოსაზრებების ევოლუციას, მაგრამ არ უნდა იყოს მიჩნეული, როგორც საბოლოო პოზიცია ან იურიდიული რჩევა და ის ექვემდებარება ცვლილებას შესაბამისი ორგანოების მითითებებისა და განმარტებების შესაბამისად. Visa იცოვებს უფლებას გადახედოს მოცემულ დოკუმენტს შემდგომი მარეგულირებელი განვითარების მოლოდინში.

მნიშვნელოვანია იცოდეთ

მოცემული ცვლილებები ხორციელდება მომხმარებელთა დაცვის გასაძლიერებლად და იმ ფაქტის უზრუნველსაყოფად, რომ გადახდები განხორციელდეს მხოლოდ ლეგიტიმური Visa ბარათების მფლობელების მიერ.

როგორ მოვიქცეთ, თუ ავთენციფიკაცია სავალდებულოა?

როდესაც მომხმარებელი იხდის Visa ბარათი, მას შეიძლება მოუწიოს უსაფრთხოების დამაფრთხილებელი პროცესის გავლა, რათა დაადასტუროს თავისი იდენტობა ბანკის მიერ შერჩეული ავთენციფიკაციის მეთოდის საშუალებით. ეს ე.წ. ორფაქტორიანი ავთენციფიკაციაა, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებელმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვემოთ მოცემული მინიმუმ ორი განსხვავებული კატეგორიიდან:

ცოდნა – მაგალითად, პაროლი, PIN/პინი;

ფლობა – მაგალითად, ბარათი, მობილური ტელეფონი ან სხვა მონაცემი;

თანდაყოლილი – მაგალითად, თვალის სკანირება, სახის ამოცნობა ან თითის ანაბეჭდი.

- თუ მომხმარებლის უკონტაქტო ტრანზაქცია მოითხოვს ავთენციფიკაციას, სთხოვეთ, შეიყვანოს PIN/პინი შესყიდვის დასასრულებლად.
- თუ ტრანზაქცია უარყოფილია, მომხმარებელს ურჩიეთ, მოათავსოს ბარათი ტერმინალში და შეიყვანოს PIN/პინი შესყიდვის დასასრულებლად, ჩიპის და PIN/პინის გამოყენებით.
- თუ პრობლემა არ გვარდება, სთხოვეთ მომხმარებელს, დაუკავშირდეს ემიტენტ ბანკს შემდგომი დახმარებისთვის.